ლენინგრადი. 17 სექტემბერი. (ტელეფონით).

გუშინ აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ადგილობრივმა "ზენიტმა" მიიღო თბილისის "დინამო". სტუმრები მოედანზე გამოვიდნენ შეცვლილი შემადგენლობით.

შეხვედრა დაიწყო ლენინგრადელთა იერიშებით და უკვე მე–16 წუთზე სიჭინავას შეცდომის გამო თბილისელთა კარში დაინიშნა 11–მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ბატანოვმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გახსნის ეს რეალური შესაძლებლობა. შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა და იამანიძემ გაიტანა პირველი გოლი.

შეხვედრის მეორე ნახევარში ბონდარენკომ სუსტად დაარტყა კარში, მაგრამ მეკარე კვაჭაძემ ვერ აიღო იგი – 1:1. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მასპინძლები მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე და შედეგსაც მიაღწიეს. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა – 2:1.

"ლელო", 18 სექტემბერი, 1958 წ.